ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223013**
თარიღი: **28/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის და
ასევე გვიმბალაურის, ჩიბათის, მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულების
მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჩახვაძის მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან
დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობისა და
მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 27. 10. 2022 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და გვიმბალაურის, ჩიბათის, მაჩხვარეთის, ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მერის წარმომადგენელი ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ალეკო კუკულაძე, მერის წარმომადგენელი მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გოჩა ცინცაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი და ჩიბათის ადგილობრივი მოსახლეობა.

მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ჩახვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია ,,ქართული-ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარდგენილი იყო მაჟორიტარ კანდიდატად გვიმბალაურის, მაჩხვარეთის, ჩიბათის

ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომელშიც გაიმარჯვა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გახდა. დეპუტატის მიზანს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა წარმოადგენს.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ 2022 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 36 000 ლარი, გვიმბალაურში 28 000 ლარი, ხოლო ჩიბათში 40 000 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხით გარკვეული საკითხების მოგვარება არის შესაძლებელი. კერძოდ;

მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული:

-ჯუნმერე-სკვერის კეთილმოწყობა ჯაყელის უბანში.

-მაჩხვარეთი-სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სამების ქუჩაზე.

-ორაგვე-გზის მოხრეშვითი სამუშაოები ჩხარტიშვილების უბანში.

გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული:

-ჯუნეწერი-სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.

-ჯუნეწერი-ბავშვებისთვის განკუთვნილი სკვერის მოწყობა.

-გვიმბალაური-სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.

ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული:

-ჭალა-გარე განათების მოწყობა.

-ზემო ჩიბათი-სასაფლაოსთან მისასვლელი რკ/ბეტონის გზის წერტილოვანი შეკეთება.

-სკვერის მოსაწყობად მავთულბადის შეძენა.

-ქვემო ჩიბათი-მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის რესტავრაცია.

-ჩახვაძეების უბანშისანიაღვრე არხების ამოწმენდა.

-მაჩხვარეთში სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

--მაჩხვარეთში სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი.

-სოფელ ჩიბათში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

-სოფელ ჩიბათშ ტურისტული ცენტრის 10 კვ. ელექტრო გადამცემი ხაზის მოწყობა.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში. ადმინისტრაციული ერთეულებიდან მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამით სარგებლობენ:

ე.წ. დიალიზის პროგრამით მაჩხვარეთში 1, ხოლო ჩიბათში-2 ბენეფიციარი.

მძიმე საცხოვრებელი პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამით გვიმბალაურში 2 ოჯახია, მაჩხვარეთში 1, ჩიბათში

მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით გვიმბარაურში 5-ბენეფიციარია;

ჩიბათში 4, მაჩხვარეთი 1.

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებით ჩიბათში ისარგებლა 2-მა ბენეფიციარმა;

,,0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს, რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამით“ ჩიბათში ისარგებლა 1 ოჯახმა.

ომის მონაწილე ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების პროგრამით - გვიმბალაურში 3, ჩიბათში 2, მაჩხვარეთში 2 ბენეფიციარია.

ერთჯერადი სოციალური ფულადი დახმარების პროგრამით ჩიბათში ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.

მძიმე საცხოვრებელი პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ერთჯერადი დახმარების პროგრამით ჩიბათში 1, მაჩხვარეთი 2 , ხოლო გვიმბალაურში-2 ბენეფიციარია.

,,სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით“ ჩიბათში ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.

,,მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით“ ისარგებლა ჩიბათში 1, ხოლო გვიმბალაურში 1-მა ბენეფიციარმა.

,,შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ ჩიბათში 3-მა, ხოლო გვიმბალაურში 1-მა ოჯახმა ისარგებლა.

უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამით ჩიბათში 2 ადამიანზე მოხდა დახმარება.

მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამით მაჩხვარეთი 2, ჩიბათში 3, ხოლო გვიმბალაურში 3 ბენეფიციარია.

15.სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით- მაჩხვარეთში 24, ჩიბათში 32 , ხოლო გვიმბალაურში 19 ბენეფიციარია.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მიმართა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემის შესახებ.

მოსახლეობის მხრიდან დაისვა შემდეგი სახის პრობლემური საკითხები:

-სოფელ ჭალაზე საძოვრის მოსაწესრიგებლად საჭიროა ორი დღით გრეიდერის ქირაობა. სოფელ ჭალაზე აუცილებელია გარე განათების მოწყობა.

-ბეჟან ბერიძემ აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ აუცილებელია ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა.

-სოფელ მაჩხვარეთში საჭიროა სანიაღვრე არხის გაკეთება.

-კისო ზენაიშვილის თქმით, სოფელ ჩიბათში საძოვრის ტერიტორია მთლიანად გავერანებულია, აუცილებელია ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება. ასევე გასაკეთებელია სანიაღვრე არხები.

-„სულაბერიძეები უბანში“ საჭიროა ასფალტის საფარის დაგება და მოსაცდელი ჯიხურის გაკეთება.

- ზაზა წილოსანმა აღნიშნა, რომ სოფელ მაჩხვარეთში ნაწილობრივ შეიღობა საფეხბურთო სტადიონი და ითხოვა სამუშაოების დასრულება.

- სოფლებში პრობლემად რჩება სასმელი წყლის საკითხი.

- მოსაწესრიგებელია ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზები.

დეპუტატის თქმით, როგორც მაჟორიტარი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლებისდაგვარად გადაწდეს ყველა ის ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა მომდევნო წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე